დანართი № 1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ამ წესის მიზანია განსაზღვროს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „თსუ") საგნობრივ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის და ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - მოდულური პროგრამა) გაუქმების ან შეცვლის შემთხვევაში შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობები, სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების, მიღწევების შეფასების ერთიანი პროცედურა, შშმ და სსსმ პირების სასწავლო პროცესში ინტეგრირების მექანიზმები, კვალიფიკაციის მინიჭების და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

თავი II. თსუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

მუხლი 2. თსუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

1. თსუ-ს მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის საფუძველს წარმოადგენს აპლიკანტის მიერ მოდულური პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილება და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პროფესიული ტესტირების ჩაბარება.
2. თსუ-ს რექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად და შემდგომ საფეხურზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხასა და წარდგენის ვადებს.
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად და შემდგომ საფეხურზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტი ვალდებულია დადგენილ ვადაში თსუ-ს წარუდგინოს ყველა სავალდებულო დოკუმენტი.

4. პროფესიული საგანმანათლებლო პოგრამების პირველად/შემდგომ საფეხურზე აპლიკანტთა განაწილების მიზნით შექმნილი რანჟირების დოკუმენტის დამტკიცებისა და ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარდგენის ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 2 დღისა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად/შემდგომ საფეხურზე სწავლის დაწყებამდე, თსუ-ს რექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ჩარიცხავს აპლიკანტებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად/შემდგომ საფეხურზე და აფორმებს აპლიკანტთან ხელშეკრულებას (ხოლო იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტი არასრულწლოვანია ან ქმედუუნაროა/შეზღუდულქმედუნარიანია მის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან).

5. არაქართულენოვანი პირებისთვის, ქართული ენის კომპეტენციის დადგენის მიზნით უნდა ჩატარდეს ტესტირება, ვერ დადასტურების შემთხვევაში, პირი ვალდებულია ჯერ გაიაროს ქართული ენის მოდულები და შემდგომ გააგრძელოს სწავლა არჩეულ პროფესიულ პროგრამაზე. ტესტირება უნდა ჩატარდეს სწავლის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე.

მუხლი 3. თსუ-ში მობილობის წესით ჩარიცხვა და მიღებული განათლების აღიარება

1. თსუ-ში მობილობის წესით პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის ადმინისტრირება წარმოებს კანონმდებლობით დადგენილი წესით. მობილობის უფლება აქვს ნებისმიერ მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტს, რომლის ჩარიცხვა განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების“ შესაბამისად და მობილობის მომენტისათვის წარმოადგენს თსუ-ს ან სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პროფესიულ სტუდენტს.

2. მობილობის უფლება აქვს ასევე პირს, რომელსაც მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

3. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე დეკანის წარდგინებით, რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. მობილობის გამოცხადებასთან ერთად ვაკანტური ადგილები და წარმოსადგენი დოკუმენტაცია განისაზღვრება სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე თსუ-ს რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

5. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს ერთი და იმავე მიმართულების ფარგლებში იმ მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის რომლებზეც პროფესიული ტესტირება ხორციელდება საერთო ტესტის ტიპით.
6. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ერთი საფეხურის ფარგლებში.
7. აღიარებას ექვემდებარება საგანმანათლებლო დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8. მობილობის მსურველთა განცხადებების განხილვისა და პროფესიული სტუდენტის მიერ სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარება ხორციელდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სპეციალური კომისიის დასკვნის საფუძველზე.

მუხლი 4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად/შემდგომ საფეხურზე ხუთზე ნაკლები რაოდენობის პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის პირობები

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჯგუფი არ გაიხსნება, თუ მასზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა ხუთზე ნაკლებია.
2. პროფესიულ სტუდენტს, რომელიც ჩაირიცხა იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად/შემდგომ საფეხურზე, რომელზეც ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა ხუთზე ნაკლებია უფლება აქვს:
ა) სწავლის გაგრძელების მიზნით ისარგებლოს მობილობის უფლებით და გადავიდეს სხვა დაწესებულებაში იმ პროფესიულ სპეციალიზაციაზე, რომელზეც ჩაირიცხა იგი მობილობის განხორციელებამდე;
ბ) ისარგებლოს შიდა მობილობის უფლებით მის მიერ ჩაბარებული პროფესიული უნარების ტესტისა და საგნის/საგანთა ჯგუფის შესატყვის სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე;
გ) ისარგებლოს შიდა მობილობის უფლებით მის მიერ ჩაბარებული გამოცდის შესატყვის სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ საფეხურზე;
დ) შეიჩეროს პროფესიული სტუდენტის სტატუსი და შეინარჩუნოს მის მიერ მოპოვებული სამართლებრივი მდგომარეობა.
3. ამ მუხლის მეორე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს სტატუსი აღუდგება პირადი განცხადების საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი/შემდგომი საფეხურის ტესტირების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის დაწყებისთანავე.

თავი III. პროფესიული სტუდენტის მიერ საკუთარი პროფილის ფორმირება და მოდიფიცირება

მუხლი 5. პროფესიული საგანმანათლებლო საგნობრივი პროგრამების სასწავლო სემესტრები

1. სასწავლო წელი შედგება შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებისგან.
2. პროგრამის თავისებურებებიდან გამომდინარე სემესტრების განსხვავებული რაოდენობა შესაბამისი პროგრამებისთვის შესაძლებელია დადგინდეს რექტორის ბრძანებით.
3. სასწავლო წლის დაწყებამდე თსუ-ს რექტორი ბრძანებით განსაზღვრავს სასწავლო პროცესის ვადებს.

მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის დატვირთვა

1. პროფესიული სტუდენტის დატვირთვა (კრედიტების რაოდენობა), განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული პროგრამით.
2. პროფესიული სტუდენტებისთვის საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტს. ამასთან, პრაქტიკის კომპონენტი არის საერთო დატვირთვის არანაკლებ 40%.
3. საგნობრივ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კრედიტის მისაღებად პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა თეორიის კომპონენტის ფარგლებში უნდა მოიცავდეს ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას, დამოუკიდებელ მეცადინეობასა და გამოცდების მომზადება-ჩაბარებას, ხოლო პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში – პრაქტიკულ მეცადინეობასა და გამოცდის ჩაბარებას.
4. მოდულური პროგრამის შემთხვევაში, კრედიტების განაწილებისა და პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობის (დატვირთვის) და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით ან/და მოდულით.

მუხლი 7. ადმინისტრაციული რეგისტრაცია

1. პროფესიული სტუდენტის მიერ ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა გულისხმობს სწავლის საფასურის სრულ ან ნაწილობრივ გადახდას თსუ–ში დადგენილი წესების დაცვით და გამოხატავს პროფესიული სტუდენტის მზაობას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში და შეასრულოს პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესიდან გამონაკლისი შესაძლოა დადგინდეს რექტორის ბრძანებით.

თავი IV. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა

მუხლი 8. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა;

გ) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, თუ დოკუმენტურად დასტურდება სასწავლო პროცესში მონაწილეობის შეუძლებლობა;

დ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა;

ე) უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა.

2. ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საფუძვლით პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მოთხოვნით პროფესიულმა სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს თსუ-ს რექტორს სასწავლო პროცესის დაწყებიდან 2 კვირის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს სტატუსის შეჩერებისა და სწავლის საფასურის მომდევნო სემესტრებში გამოყენების უფლებას.

3. თსუ-ში პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 2 წელი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება ფორმდება თსუ-ს რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები წყდება მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 9. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისათვის დადგენილი ვადის გასვლა;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი საფეხურის დასრულება;

გ) პროგრამის ნებაყოფლობით შეწყვეტის შესახებ პროფესიული სტუდენტის პირადი განცხადება, ხოლო არასრულწლოვანის/ქმედუუნარო/შეზღუდულ ქმედუნარიანი პირის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენლის განცხადება;

დ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა;

ე) ფაკულტეტის საბჭოს მიერ პროფესიული სტუდენტის მიმართ განხორციელებული დისციპლინური დევნის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება თსუ-ის ეთიკის კოდექსის, შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების საფუძველზე;
ვ) გარდაცვალება.
2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ფორმდება თსუ-ს რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, თსუ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას.
4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები წყდება მოქმედი კანონმდებლობითა და თსუ-ის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.

მუხლი 10. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენისათვის პირმა განცხადებით უნდა მიმართოს თსუ-ს რექტორს.
2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა ფორმდება თსუ-ს რექტორის ბრძანებით.

მუხლი 11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა ან გაუქმება

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში თსუ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას დაწესებულების ფარგლებში მოქმედ თავსებად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, შეცვლილი ან გაუქმებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების გათვალისწინებით.
2. თუ თსუ-ში არ ხორციელდება შეცვლილ ან გაუქმებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მაგრამ ხორციელდება სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, თსუ უზრუნველყოფს სწავლის პერიოდში პროფესიული სტუდენტების მიერ მიღებული კრედიტების დადასტურებას ცალკეულ საგნებში/მოდულებში და ხელს შეუწყობს პროფესიული სტუდენტების სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობას რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

თავი V. პროფესიული სტუდენტის უფლებები და მოვალეობები

მუხლი 12. პროფესიული სტუდენტის სტატუსი და უფლება-მოვალეობები

1. თსუ-ს პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება;

ბ) ისარგებლოს თსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

გ) მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია თსუ-ში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების თაობაზე და მოითხოვოს სასწავლო კურსების სილაბუსები/მოდულები;

დ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს შეფასების შედეგი;

ე) მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო კურსების, შეფასების ჩატარების ვადებისა და ფორმატის, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის თაობაზე;

ვ) პროფესიული სტუდენტი, რომელიც ვერ/არ გამოცხადდება დასკვნით გამოცდებზე ან მოდულური პროგრამების შემთხვევაში სწავლის შედეგების დადასტურებისათვის განკუთვნილ შეფასების საათებზე ან ვერ მიიღებს დამაკმაყოფილებელ შეფასებას უფლებამოსილია მოითხოვოს გადაბარება მხოლოდ ერთხელ.

2. თსუ-ს პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

ა) პროფესიული სტუდენტი ვალდებულია თსუ-ს მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა საგანი/მოდული, რომლის სწავლება სავალდებულოა, დაიცვას თსუ-ს წესდება, პერიოდულად ეცნობოდეს თსუ-ს შესაბამის სამართლებრივ აქტებს და განუხრელად დაიცვას მათი მოთხოვნები;

ბ) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

გ) გონივრულ ვადაში აცნობოს თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტს სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში არსებულ ანკეტაში მითითებული ინფორმაციის ცვლილების თაობაზე.

3. პირს თსუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსი ენიჭება თსუ-ში ჩარიცხვის შესახებ რექტორის ბრძანების საფუძველზე და მოქმედებს უნივერსიტეტთან სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტამდე.

მუხლი 13. სწავლის საფასური

1. თსუ-ში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის საფასური

განისაზღვრება კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამისი პროფესიული პროგრამისათვის დადგენილი ოდენობით.
2. თუ არსებობს შეღავათიანი ტარიფით გაფორმებული ხელშეკრულება, საგნობრივ პროფესიულ სტუდენტს სასწავლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში უნარჩუნდება ხელშეკრულებით განსაზღვრული საფასურის ოდენობა.
3. სტატუს შეჩერებული პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში სწავლის საფასური განისაზღვრება თსუ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილი ტარიფით.

მუხლი 14. დამატებითი სემესტრი

1. პროფესიული საგნობრივი საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტს, რომელსაც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში არ მიენიჭა შესაბამისი კვალიფიკაცია, უფლება ეძლევა თვითდაფინანსების გზით დაასრულოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომდევნო სემესტრების განმავლობაში.
2. დამატებითი სემესტრის პროფესიული საგნობრივი საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტს სწავლის საფასური განესაზღვრება დეკანის წარდგინების საფუძველზე შესასწავლი სასწავლო კურსის/კურსების კრედიტების შესაბამისად. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე კრედიტის ღირებულება შეადგენს 40 ლარს.

თავი VI. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

მუხლი 15. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის და ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

1. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა პროფესიულ სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება არანაკლებ 51 ქულისა.
2. პროფესიული სტუდენტის გამოცდაზე ჩაჭრის საფუძველია:

ა) გამოცდის მიმდინარეობისას პროფესიული სტუდენტის მოქმედება, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის გამოცდების ჩატარების ინსტრუქციასა და თსუ-ს ეთიკის კოდექსთან;
ბ) დასკვნით გამოცდაზე დადგენილ ქულათა 50%-ზე ნაკლების მიღება.

3. შუალედური გამოცდის აღდგენის პირობები:

ა) შუალედურ გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, როდესაც გამოცდას ატარებს ფაკულტეტი, გამოცდის აღდგენა დასაშვებია დეკანის სახელზე პროფესიული სტუდენტის მიერ დაწერილი განცხადების საფუძველზე, გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის მითითებითა და დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით. გადაწყვეტილებას გამოცდის აღდგენის თაობაზე იღებს დეკანი; გამოცდის აღდგენა უნდა მოხდეს შუალედური გამოცდის ჩატარების დღიდან 2 კვირის ვადაში;

ბ) შუალედურ გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, როდესაც გამოცდას ატარებს საგამოცდო ცენტრი, შესაბამისი გამოცდის აღდგენა დასაშვებია საგამოცდო ცენტრისათვის ელექტრონული ბაზის საშუალებით (lms.tsu.ge) გაგზავნილი მიმართვის საფუძველზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის მითითებითა და გამოცდის აღდგენამდე დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით. გადაწყვეტილებას გამოცდის აღდგენის თაობაზე იღებს საგამოცდო ცენტრი; გამოცდის აღდგენა უნდა მოხდეს შუალედური გამოცდის ჩატარების დღიდან 2 კვირის ვადაში.

4. დამატებით გამოცდაზე გასვლის პირობები:

ა) ძირითად გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, როდესაც გამოცდას ატარებს ფაკულტეტი, შესაბამის დამატებით გამოცდაზე გასვლა დასაშვებია დეკანის სახელზე პროფესიული სტუდენტის მიერ დაწერილი განცხადების საფუძველზე, გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის მითითებითა და დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით. გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტის დამატებით გამოცდაზე დაშვების შესახებ იღებს დეკანი;

ბ) დასკვნით გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, როდესაც გამოცდას ატარებს საგამოცდო ცენტრი, შესაბამის დამატებით გამოცდაზე გასვლა დასაშვებია საგამოცდო ცენტრისათვის ელექტრონული ბაზის საშუალებით (lms.tsu.ge) გაგზავნილი მიმართვის საფუძველზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის მითითებითა და დამატებით გამოცდამდე დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით. გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტის დამატებით გამოცდაზე დაშვების შესახებ იღებს საგამოცდო ცენტრი;

გ) 41–50 ქულის შეფასების პირობებში ან/და ძირითად გამოცდაზე ჩაჭრილ პროფესიულ სტუდენტს, რომელსაც დაგროვილი აქვს არანაკლებ 41 ქულისა, ავტომატურად ეძლევა შესაბამის დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება;

დ) თუ მიღებულ ქულათა ჯამი 41 ქულაზე ნაკლებია, პროფესიული სტუდენტი ვალდებულია განმეორებით მოისმინოს სასწავლო კურსი;

ე) პროფესიული სტუდენტი დამატებით გამოცდაზე დაიშვება მიმდინარე სემესტრის საგამოცდო პერიოდში, რექტორის ბრძანებით დამატებითი გამოცდებისათვის

დადგენილ ვადებში;

ვ) ძირითად და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

5. პროფესიული სტუდენტისთვის გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნა:

ა) დასკვნით ან დამატებით გამოცდაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, როდესაც გამოცდას ატარებს ფაკულტეტი, ძირითადი ან დამატებითი გამოცდებისათვის დადგენილ ვადაში გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნა დასაშვებია დეკანის სახელზე პროფესიული სტუდენტის მიერ დაწერილი განცხადების საფუძველზე, გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის მითითებითა და დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით. გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტის გამოცდაზე დაშვების შესახებ იღებს დეკანი;

ბ) ძირითად ან დამატებით გამოცდაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, როდესაც გამოცდას ატარებს საგამოცდო ცენტრი, ძირითადი ან დამატებითი გამოცდებისათვის დადგენილ ვადაში გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნა დასაშვებია საგამოცდო ცენტრისათვის ელექტრონული ბაზის საშუალებით (lms.tsu.ge) გაგზავნილი მიმართვის საფუძველზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის მითითებითა და გამოცდამდე დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით. გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტის გამოცდაზე დაშვების შესახებ იღებს საგამოცდო ცენტრი;

გ) ძირითად და დამატებით გამოცდებზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტისათვის საგამოცდო პერიოდის გასვლის შემდეგ გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნა დასაშვებია მხოლოდ საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში. გადაწყვეტილებას საგამოცდო პერიოდის გასვლის შემდეგ გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნის თაობაზე დეკანის წარდგინების საფუძველზე იღებს უნივერსიტეტის რექტორი.

6. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება ხდება მოდულის სწავლის შედეგების და სწავლის შესრულების კრიტერიუმების თანახმად, მოდულის მისაღწევი შედეგებისა და შესრულების სპეციფიკიდან და შეფასების მიზნიდან გამომდინარე, შეფასების ინსტრუმენტს განსაზღვრავს მოდულის განმახორციელებელი.

7. შეფასების პროცესი დასრულებულად ითვლება მხოლოდ შეფასების შედეგების დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

მუხლი 16. პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი

1. დასკვნითი და შესაბამისი დამატებითი გამოცდის ჩატარების ფორმაა წერითი

გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს, ასეთ შემთხვევაში გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ თითოეულ კომპონენტში პროფესიული სტუდენტი მიიღებს ამ კომპონენტისათვის (წერა/ზეპირი) დადგენილ ქულათა არანაკლებ 50%-ს.

2. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51–60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

3. სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად – მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. შეფასება უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

5. მოდულური პროგრამის პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

6. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

7. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

8. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

9. იმ შემთხვევაში თუ მოდულის წინაპირობაა წინა მოდულის დაძლევა, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოდულზე სწავლის შედეგების დაუდასტურებლობის ან/და

გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაიშვას მომდევნო მოდულზე, სწავლის დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში თუ ამ პერიოდში არ დგება მოცემული მოდულის თუნდაც ერთი სწავლის შედეგის დადასტურების საკითხი.

10. აღნიშნული მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში სწავლის შედეგების არ/ვერ დადასტურება ითვლება პროფესიული სტუდენტის მიერ მოდულის კრედიტების აუთვისებლობად და პროფესიულ სტუდენტს აღარ აქვს მომდევნო მოდულზე სწავლის, შესაბამისად, პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

11. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით შშმ და სსსმ პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

12. სწავლის შედეგების შეფასება შესაძლებელია ჩატარდეს, როგორც ყოველი სწავლის შედეგის ბოლოს ასევე, შესაძლებელია ერთი მიმართულების რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად შეფასება.

13. განმსაზღვრელი შეფასებისას, პროფესიულ სტუდენტს, რომლის შემდგომ მოდულზე დაშვების წინაპირობა არ არის წინა მოდულის დაძლევა, უფლება აქვს თითოეულ მოდულზე სწავლის შედეგების დაუდასტურებლობის ან/და გამოუცხადებლობის შემთხვევაში ერთჯერადად, ისარგებლოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებით შეფასებაზე ალტერნატიული გასვლის უფლებით პროგრამის დასრულებამდე.

თავი VII. კვალიფიკაციის მინიჭება

მუხლი 17. კვალიფიკაციის მინიჭება

1. პროფესიული საგნობრივი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ პროფესიულ სტუდენტს ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია.
2. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულმა სტუდენტმა პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტი, ასევე არჩევითი პროფესიული მოდულებიდან პროგრამით განსაზღვრული კრედიტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 18. პროფესიული დიპლომი

1. კვალიფიკაციას ადასტურებს თსუ-ს რექტორისა და ფაკულტეტის დეკანის მიერ ხელმოწერილი და თსუ-ს ბეჭდით დამოწმებული პროფესიული დიპლომი.
2. პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხური, ეძლევა სათანადო მოწმობა.

თავი VIII. სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები

მუხლი 19. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფა

1. სსსმ და შშმ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას თსუ ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების ასისტენტის, სსსმ და შშმ პირის გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირისა და კვალიფიციური პედაგოგების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში თსუ უზრუნველყოფს სსსმ და შშმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას.
2. საჭიროების შემთხვევაში, სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას მოდულს/საგანს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - მოდულის/საგნის მოთხოვნებთან მიმართებით.
4. სწავლის დაწყებიდან 5 დღის განმავლობაში სასწავლო კურსის/მოდულის პროფესიული მასწავლებელი ვალდებულია აცნობოს დეკანატს სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტის სასწავლო საჭიროებ(ებ)ის შესახებ.
5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება სწავლის დაწყებიდან 5 დღის განმავლობაში სსსმ და შშმ პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმებით. მასწავლებლისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის მიერ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად.
6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მტკიცდება ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში ჩასატარებელი დამატებითი

მეცადინეობების, რესურსის საჭიროებების და სხვ. შესახებ ინფორმაციას დეკანატს წერილობით აცნობებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი.

7. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე მასწავლებელი უფლებამოსილი ხდება სასწავლო პროცესის ფარგლებში:

ა) მიმართოს სწავლების განსხვავებულ ხერხებსა და სტრატეგიებს;

ბ) შეარჩიოს და გამოიყენოს პროფესიული სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების მეთოდები;

გ) პროფესიული სტუდენტისთვის დაადგინოს საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემა;

დ) განსაზღვროს, შეცვალოს და გამოიყენოს პროფესიული სტუდენტისთვის ოპტიმალური სასწავლო გარემო;

ე) საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა;

ვ) გამოიყენოს საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალა და ნედლეული;

ზ) შეცვალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა.